

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

საქმეზე „ბუჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ“ (*Buchholz v. Germany*)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისი მუხლების თანახმად, შეიკრიბა პალატის სახით, შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ. ვიარდა, პრეზიდენტი,
ბ-ნი პ. მოსლერი,
ბ-ნი თორ ვილიალმსონი,
ბ-ნი გ. განშოფ ვან დერ მეერში,
ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი,
ბ-ნი ფ. მატშერი,
ბ-ნი ე. გარსია დე ენტერია,

და, ასევე, ბ-ნი მ.-ა. ეისენი, რეგისტრატორი, და ბ-ნი პ. პეტხოლდი, რეგისტრატორის მოადგილე.

იმსჯელა რა განმარტოებით 1981 წლის 28 იანვარსა და 22 აპრილს,

სასამართლომ 1981 წლის 22 აპრილს გამოიტანა წინამდებარე განაჩენი.

პროცედურა

1. ბუჰოლცის საქმე სასამართლოში წარადგინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ (შემდგომში „მთავრობა“). საქმეს საფუძველად უდევს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) წინაშე 1976 წლის 18 დეკემბერს გერმანიის მოქალაქის, ბ-ნი ვალტერ ბუჰოლცის, მიერ კონვენციის 25-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს წინააღმდეგ შეტანილი განაცხადი.

2. მთავრობის განაცხადი, რომელიც მიუთითებდა კონვენციის 48-ე მუხლზე, შეტანილი იქნა სასამართლოს რეგისტრატურაში 1980 წლის 3 ოქტომბერს, 3 თვის ვადაში, როგორც ეს დადგენილია კონვენციის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა და 47 მუხლით. განაცხადის მიზანია, წარუდგინოს საქმე სასამართლოს და მიმართოს თხოვნით, დაადგინოს, რომ კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

3. 4 ოქტომბერს რეგისტრატორმა კომისიის მდივნისგან მიიღო კომისიის მოხსენების 40 ასლი.

4. პალატის შემადგენლობაში შეიდი მოსამართლე უნდა ყოფილიყო. *Ex officio* წევრების სახით პალატაში შევიდნენ ბ-ნი პ. მოსლერი, გერმანიის მხრიდან არჩეული მოსამართლე (კონვენციის 43-ე მუხლი), და ბ-ნი გ. ბალადორე პალიერი, სასამართლოს პრეზიდენტი (სასამართლოს რეგლამენტის 21-ე მუხლის 3 (ბ) პუნქტი). 4 ოქტომბერს სასამართლოს პრეზიდენტმა რეგისტრატორის თანდასწრებით კენჭისყრის შედეგად გამოავლინა დანარჩენი ხუთი მოსამართლის ვინაობა. ეს მოსამართლეები იყვნენ: ბ-ნი

თორ ვილიალმსონი, ბ-ნი ვ. განშოფ ვან დერ მეერში, ქ-ნი დ. ბინდშედლერ-რობერტი, ბ-ნი ფ. მატშერი და ბ-ნი ე. გარსია დე ენტერია (კონვენციის 43-ე მუხლი *in fine* და რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

5. ბ-ნმა ბალადორე პალიერიმ დაიკავა პალატის პრეზიდენტის ადგილი (რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი). რეგისტრატორის მოადგილის მეშვეობით მან გაარკვია მთავრობის წარმომადგენლისა და კომისიის პრეზიდენტის მოსაზრებები პროცედურასთან დაკავშირებით. 4 ოქტომბერს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობის წარმომადგენელმა 5 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს მემორანდუმი. კომისიის დელეგატებსაც მიეცათ მითითება, საპასუხო მემორანდუმი რეგისტრატორის მიერ მათთვის მთავრობის მემორანდუმის გადაცემიდან 2 თვის ვადაში წარმოედგინათ.

6. 9 ოქტომბერს კომისიის მდივანმა აცნობა რეგისტრატორს, რომ კომისიამ დელეგატად დანიშნა ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი.

7. რეგისტრატორმა მთავრობის მემორანდუმი მიიღო 5 დეკემბერს. 15 დეკემბერს კომისიის მდივანმა აცნობა რეგისტრატორს, რომ დელეგატი მოსმენაზე საკუთარ მიმოხილვებს წარმოადგენდა.

8. მთავრობის წარმომადგენელთან და კომისიის დელეგატთან რეგისტრატორის მოადგილის მეშვეობით გამართული კონსულტაციის შემდეგ ბ-ნმა ვიარდამ, სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტმა, რომელმაც შეცვალა ბ-ნი ბალადორე პალიერი ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო (რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-3 (ბ) და მე-5 პუნქტები), 15 დეკემბერს განაცხადა, რომ ზეპირი მოსმენა 1981 წლის 27 იანვარს გაიმართებოდა.

9. 1981 წლის 22 იანვარს ბ-ნმა ვიარდამ მოსთხოვა კომისიას, სასამართლოსათვის წარმოედგინა გარკვეული დოკუმენტაცია. ეს დოკუმენტები კომისიის მიერ 27 იანვარსა და 6 თებერვალს იქნა წარმოდგენილი.

10. ზეპირი მოსმენა 27 იანვარს საჯაროდ გაიმართა ადამიანის უფლებათა შენობაში. ზეპირი მოსმენის გახსნის წინ პალატამ გამართა მოსამზადებელი შეხვედრა; პალატამ ნება დართო მთავრობის წარმომადგენელსა და ადვოკატს, ასევე პირს, რომელიც დახმარებას უწევდა კომისიის დელეგატს, გამოეყენებინათ გერმანული ენა (რეგლამენტის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები).

სასამართლოს წინაშე წარდგენენ:

მთავრობის სახელით:

ქ-ნი ი. მაიერი, *Ministerialdirigentin*-ი იუსტიციის ფედერალურ სამინისტროში,
წარმომადგენელი

ბ-ნი ჰ. სტოკერი, *Regierungsdirektor*-ი იუსტიციის ფედერალურ სამინისტროში,
ბ-ნი მ. ლორენცი, *Regierungsdirektor*-ი შრომისა და სოციალურ საკითხთა ფედერალურ სამინისტროში,

ბ-ნი ჰ. ვეგენერი, *Oberregierungsrat*-ი ქ. ჰამბურგის შრომისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტში,

მრჩეველები;

კომისიის სახელით:

ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი, დელეგატი,

ბ-ნი კ. სოიკა, განმცხადებლის ადვოკატი კომისიის წინაშე, რომელიც, რეგლამენტის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების საფუძველზე დახმარებას უწევდა დელეგატს.

სასამართლომ მოისმინა ქ-ნი მაიერის მიმართვა მთავრობის მხრიდან და ბ-ნი გაუკურ იორუნდსონისა და ბ-ნი სოიკას მიმართვები – კომისიის მხრიდან, ისევე, როგორც მათი პასუხები სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე. მოსმენაზე მთავრობის წარმომადგენელმა სასამართლოს რამდენიმე დოკუმენტი წარუდგინა.

11. 6 თებერვალს მთავრობის წარმომადგენელმა და განმცხადებლის ადვოკატმა წერილობით წარმოადგინეს თავ-თავიანთი პასუხები მოსმენაზე დასმულ რამდენიმე კითხვაზე; 19 თებერვალს ქ-ნმა მაიერმა წარმოადგინა მიმოხილვა, რომელიც ეხებოდა ამ საქმესთან დაკავშირებით ბ-ნი სოიკასგან მიღებულ წერილს.

შაქტები

12. ბ-ნი ბუჰოლცი დაიბადა 1918 წელს და ამჟამად ცხოვრობს ჰამბურგში. 1949 წლის თებერვლიდან მოყოლებული იგი მუშაობდა ქიმწმენდაში, რომელიც ეკუთვნოდა ჯ.ჰ. დეფენდორფ კგ-ს; 1963 წლის ბოლომდე იგი, ძირითადად, მძღოლად მუშაობდა, ხოლო 1963 წლიდან – ფილიალების ზედამხედველად. 1974 წლის 28 ივნისს მას ეცნობა, რომ იმავე წლის 31 დეკემბრიდან იგი გათავისუფლებული იქნებოდა სამსახურიდან საწარმოს რაციონალიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შედეგად.

ბ-ნმა ბუჰოლცმა აღძრა სამართალწარმოება შესაბამის სასამართლოებში და გაასაჩივრა ამ გადაწყვეტილების კანონიერება; მისი მტკიცებით, ხსენებულმა სასამართლოებმა არ განიხილეს მისი საქმე „გონივრულ ვადაში“, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

1. სამართალწარმოება შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოებში

(ა) ჰამბურგის შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლო (Arbeitsgericht)

13. 1974 წლის 10 ივლისს განმცხადებელმა საქმე აღძრა ჰამბურგის შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოში. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი გათავისუფლება, „არაკეთილსინდისიერად გათავისუფლების შესახებ“ კანონის (Kündigungsschutzgesetz) 1-ლი ნაწილის თანახმად, „სოციალურად გაუმართლებელი იყო“ (sozial ungerechtfertigt). მეორე მხარემ (შემდგომში „მოპასუხეები“) დაცვის პოზიცია წარმოადგინა 25 ივლისს, ერთი დღით ადრე, ვიდრე გავიდოდა პოზიციის წარმოდგენისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა.

14. 16 აგვისტოს გამართულ პირველ მოსმენაზე ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატმა წარმოადგინა ახალი წერილობითი მემორანდუმი. შრომითი საკითხების განმხილველმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხეების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა და საქმის მოსმენა 4 ოქტომბრამდე გადადო.

15. 22 აგვისტოთი დათარიღებულ წერილობით პასუხში მოპასუხებმა, შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, დეტალურად ჩამოაყალიბეს სადავო გათავისუფლების მიზეზები; მათ ასევე აღწერეს კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობა და წარმოადგინეს ახსნა-განმარტება კომპანიის რაციონალიზაციასთან დაკავშირებით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

განმცხადებლის ადვოკატმა 19 სექტემბრით დათარიღებულ თავის შესაგებელ პასუხს თან დაურთო მარწმუნებლის მიერ მისთვის მიწერილი წერილი. ხსენებული წერილი შეიცავდა ბრალდებას, რომ დეპენდორფის კომპანიის მენეჯერებმა „დაუდევრად გაფლანგეს რობერტ დეპენდორფის მიერ პატიოსანი შრომით მოპოვებული მილიონები (ბიზნესის და კერძო აქტივები)“, სანაცვლოდ კი „თავად დაცულნი და უდარდელნი არიან და საერთოდ აღარ აინტერესებთ, დეპენდორფის კომპანია უფრო დიდ ზარალს ნახავს თუ არა“.

ამ ბრალდებებმა აიძულა მოპასუხეები, 30 სექტემბერს გაეგზავნათ განმცხადებლისათვის 2 სხვა შეტყობინება გათავისუფლების თაობაზე, საგანგებო შეტყობინება (*ausserordentliche Kündigung*), რომელიც ძალაში შედიოდა დაუყოვნებლივ, და, ალტერნატიული ან გამაფრთხილებელი (*vorsorglich*) ღონისძიების სახით, ჩვეულებრივი შეტყობინება (*ordentliche Kündigung*), რომელიც ძალაში შედიოდა 1975 წლის 31 მარტს. საგანგებო შეტყობინება ეფუძნებოდა სამოქალაქო კოდექსის (*Bürgerliches Gesetzbuch*) 626-ე მუხლს, რომელიც მოითხოვს „სერიოზულ მიზეზს“ ამ სახით გათავისუფლებისათვის და შეტყობინების გაგზავნას 2 კვირის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც დამქირავებლები შეიტყობენ ფაქტებს, რომლებიც, მათი აზრით, წარმოადგენს სერიოზულ მიზეზს ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად.

2 ოქტომბერს ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატმა წარმოადგინა წერილობითი არგუმენტაციის კიდევ ორი წყება, რომლებიც დათარიღებული იყო 1 და 2 ოქტომბრით და თან ერთვოდა მოპასუხეების 30 სექტემბრის წერილი; ეს უკანასკნელი ეხებოდა მომჩივანის რეაგირებას 30 სექტემბრით დათარიღებულ გათავისუფლების შესახებ ორ შეტყობინებაზე.

16. 1974 წლის 4 ოქტომბერს გამართულ მოსმენაზე შრომითი საკითხების განმხილველმა სასამართლომ საქმის მოსმენა გადადო 25 ოქტომბრამდე, რადგან მოპასუხეთა ადვოკატმა განმცხადებლის ბოლო წერილობითი მემორანდუმი მხოლოდ მოსმენაზე მიიღო.

14 ოქტომბერს განმცხადებლის ადვოკატმა წარმოადგინა სხვა მემორანდუმი.

25 ოქტომბრისათვის გადადებულ სხდომაზე შრომითი საკითხების განმხილველმა სასამართლომ, მოქმედებდა რა შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, წამოაყენა წინადადება მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებით, მაგრამ წინადადება არ იქნა მიღებული.

17. 1975 წლის 8 იანვარს, მხარეთა საბოლოო არგუმენტაციის მოსმენის შემდეგ, შრომითი საკითხების განმხილველმა სასამართლომ დაუყოვნებლივ გამოიტანა განაჩენი. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არც 1974 წლის 28 ივნისით დათარიღებულ შეტყობინებას და არც იმავე წლის 30 სექტემბრით დათარიღებულ საგანგებო შეტყობინებას არ შეუწყვეტია განმცხადებელთან დადებული ხელშეკრულების მოქმედება, რადგან პირველი შეტყობინება „სოციალურად გაუმართლებელი“ იყო „არაკეთილსინდისიერად გათავისუფლების შესახებ“ კანონის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხოლო მეორე – არ იყო გამართლებული, ვინაიდან არ არსებობდა „სერიოზული

მიზეზი“, როგორც ამას მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლი. სასამართლომ უარყო მოპასუხეთა მხრიდან წარმოდგენილი ალტერნატიული მოთხოვნაც შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტასთან დაკავშირებით (Auflösungsantrag), „არაკეთილსინდისიერად გათავისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 ნაწილის შესაბამისად. სასამართლომ ვალდებულება დააკისრა მოპასუხეებს, გადაეხადათ ბ-ნი ბუჰოლცისთვის 5 700 გერმანული მარკა სახელფასო დავალიანებისათვის, მაგრამ უარყო პრეტენზია მომავალ ხელფასთან დაკავშირებით.

1975 წლის 25 თებერვალს განაჩენი წერილობითი ფორმით გადაეცათ მხარეებს.

(ბ) ჰამბურგის შრომითი საპროტესტის განმხილველი სააპელაციო სასამართლო (Landesarbeitsgericht)

18. 1975 წლის 13 მარტს მოპასუხეებმა გაასაჩივრეს გამოტანილი განაჩენი ჰამბურგის შრომითი საკითხების განმხილველ სააპელაციო სასამართლოში. მათი მტკიცებით, ბ-ნი ბუჰოლცის მიერ მათ მიმართ გამოთქმული ბრალდებები წარმოადგენდა „სერიოზულ მიზეზს“, რომელიც ამართლებდა 1974 წლის 30 სექტემბრის საგანგებო შეტყობინებას; ამასთან, მათი აზრით, 1974 წლის 28 ივნისისა და 30 სექტემბრის შეტყობინებები სამართლიანი და „სოციალურად გამართლებული“ იყო, რადგან არსებობდა ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სერიოზული მიზეზები. მოპასუხეებმა თხოვნით მიმართეს სასამართლოს, შეეცვალა განაჩენი და უარი ეთქვა მომჩივანის მიერ აღძრულ სამართალწარმოებაზე ან, ალტერნატიული ვარიანტის სახით, გაეუქმებინა მხარეთა შორის არსებული შრომითი ხელშეკრულება.

თავის მხრივ, განმცხადებელმა 25 მარტს ხსენებულ სასამართლოში შეიტანა შესაბამისი სააპელაციო საჩივარი (Anschlussberufung), რომელშიც ითხოვდა 1975 წლის პირველი სამი თვის სახელფასო დავალიანების დაფარვას.

19. ამის შემდეგ, 1975 წლის 2 აპრილსა და 15 მაისს (მოპასუხეებმა) და 22 აპრილს (ბ-ნმა ბუჰოლცმა), მხარეებმა წარმოადგინეს წერილობითი მემორანდუმები. განმცხადებელი კვლავ ამტკიცებდა კომპანიის მენეჯერების წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს; მან თხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, მოეპოვებინა ექსპერტის მოსაზრება მის მიერ გამოთქმული ბრალდებების დასაბუთებისა და დადასტურების მიზნით.

20. ხსენებული წერილობითი პროცედურების მიმდინარეობისას ორივე მხარემ თხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, არ გაემართა სხდომა გარკვეულ პერიოდებში, სახელდობრ, განმცხადებლის თხოვნით – 25 მაისსა და 5 ივნისს შორის, ხოლო მოპასუხეთა თხოვნით – 11 აპრილსა და 2 მაისს და 6-11 ივნისს შორის.

21. გაითვალისწინა რა მხარეთა მოთხოვნები, სააპელაციო სასამართლომ 1975 წლის 16 მაისს მოსმენის გამართვის დღედ გამოაცხადა 22 ივლისი. ამ დღეს სასამართლომ სხვა საკითხებთან ერთად განიხილა ის გარემოებები, რომლებიც თან ახლდა განმცხადებლის მიერ გამოთქმული ბრალდებების დამადასტურებელ მტკიცებულებებს და თან ერთვოდა ადვოკატის მიერ 1974 წლის 19 სექტემბერს წარმოდგენილ წერილობით მემორანდუმს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 15). კითხვაზე, ისახავდა თუ არა იგი მიზნად ბრალდებების სარჩელში შეტანას, განმცხადებელმა განაცხადა, რომ იგი თავისი ადვოკატის მსჯელობას ეყრდნობოდა. სასამართლომ წამოჭრა ბ-ნი ბუჰოლცის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესაძლებლობაც. სასამართლომ უბრძანა მოპასუხეებს, ერთი თვის ვადაში წარმოედგინათ კომპანიის კომერციული საშტატო სქემა და

მიეთითებიან, თუ რომელი თანამდებობა შეიძლებოდა დაეკავებინა განმცხადებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი წარმოედგინათ უარის მიზეზი.

განმცხადებელს მიეცა ერთი თვის ვადა პასუხის გასაცემად.

22. 31 ივლისს მოპასუხებმა წარმოადგინეს საშტატო სქემა თანდართული განმარტებებით; 6 აგვისტოს მათ პასუხი გასცეს ბ-ნი ბუჰოლცის წერილობით მემორანდუმს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ წარდგენილი იქნა 16 ივლისს, მათ მხოლოდ 22 ივლისს მოსმენის შემდეგ გადაეცათ.

1975 წლის 20 აგვისტოს განმცხადებელმა წარმოადგინა წინადადება მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებით, რომელიც მოპასუხეთა მიერ 19 სექტემბერს იქნა უარყოფილი. 3 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატმა წარმოადგინა მემორანდუმი, რომელიც დათარიღებული იყო 28 სექტემბრით და შეიცავდა მისი მარწმუნებლის მიერ გაკეთებულ შენიშვნებს და თხოვნას, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში დანიშნულიყო საქმის მოსმენა და განხილვა. განმცხადებლის ადვოკატმა განაახლა 18 სექტემბერს, ანუ ერთი დღით ადრე, ვიდრე მოპასუხეები უარყოფდნენ მეგობრული მორიგების შეთავაზებას, წარდგენილი მოთხოვნა. სხვა საკითხებთან ერთად ადვოკატი ამტკიცებდა, რომ ბ-ნი ბუჰოლცისათვის „ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად აუტანელი გახდა უსასრულო გაურკვევლობა“.

9 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლომ მოსმენა 1976 წლის 19 მარტისთვის დანიშნა და მოპასუხეებს ზემოხსენებული, 3 ოქტომბრით დათარიღებული წერილობითი მემორანდუმი გადასცა.

23. 1975 წლის 12 ნოემბერს განმცხადებლის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა ჰამბურგის პარლამენტს (*Bürgerschaft*), რათა გამონახულიყო ზომები შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოებში არსებული სამართალწარმოების დასაჩქარებლად.

1976 წლის დასაწყისში, აღნიშნული შუამდგომლობისა და მოსამართლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შედეგად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 39), სააპელაციო სასამართლომ შეძლო მე-6 პალატის შექმნა. თითქმის 50% იმ საქმეებისა, რომლებიც მე-3 პალატაში იხილებოდა, განსახილველად გადაეცა ახალ პალატას. მიუხედავად ამისა, ბუჰოლცის საქმე განსახილველად მე-3 პალატას დარჩა.

1976 წლის 5 მაისით დათარიღებული წერილით პარლამენტმა აცნობა განმცხადებელს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ გადადგეს აუცილებელი ნაბიჯები, რათა შეემსუბუქებინათ შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლოების სამუშაო დატვირთვა.

24. 1976 წლის 19 მარტს გამართულ მოსმენაზე მხარეებმა წარადგინეს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც უნდა მიღებულიყო გადაწყვეტილება. მოსმენის ბოლოს სააპელაციო სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რომელშიც ჩამოაყალიბა შესაბამისი საკითხები და თავისი თვალსაზრისი მათ შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით; შემდეგ სასამართლომ მხარეებს შესთავაზა მეგობრული მორიგება, რომლის თანახმად შრომითი ხელშეკრულება 1974 წლის 31 დეკემბრიდან გაუქმებულად ჩაითვლებოდა და მოპასუხეები განმცხადებელს გადაუხდიდნენ ერთჯერად თანხას 34 200 გერმანული მარკის ოდენობით.

სასამართლომ მოუწოდა მხარეებს, წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები 30 აპრილისათვის.

25. 7 აპრილით დათარიღებული მემორანდუმით მოპასუხეებმა უარყვეს მორიგების წინადადება. მათ მიუთითეს „უდავო“ ფაქტზე, რომ 1974 წლის 30 სექტემბრის ორი შეტყობინება განმცხადებელს იმავე დღეს გადაეცა.

თავის მხრივ, ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატმა 8 აპრილით დათარიღებულ წერილობით განცხადებაში, რომელშიც იგი აღნიშნავდა სააპელაციო სასამართლოს დამსახურებას „საქმის ყოვლისმომცველი და ჯეროვანი განხილვისათვის“, უარყო შეთავაზებული მორიგება. მან დააკონკრეტა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა ასეთ მორიგებაზე, თუ შრომითი ხელშეკრულება 1975 წლის 31 დეკემბრიდან ჩაითვლებოდა გაუქმებულად.

გარდა ამისა, 1976 წლის 28 აპრილს ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატმა წარმოადგინა მოკლე პასუხი 7 აპრილის ზემოხსენებულ მემორანდუმზე. იგი არ ეთანხმებოდა მოპასუხეთა განცხადებებს, „ვინაიდან ეს განცხადებები არ შეესაბამებოდა მისი კლიენტის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებებს“, მაგრამ მას არ გაუმახვილებია საგანგებოდ ყურადღება აღნიშნული ორი შეტყობინების მიღების თარიღზე, კერძოდ, 1974 წლის 30 სექტემბერზე. ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატმა დამატებით აცნობა სასამართლოს, რომ 30 მაისიდან 18 ივნისამდე ვერ შეძლებდა სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღებას, და მიმართა თხოვნით, მოსმენა მაისში დაენიშნა.

3 მაისს სააპელაციო სასამართლომ ბრძანა, რომ მოსმენა უნდა განახლებულიყო 27 აგვისტოს, და ამის შესახებ მხარეებს 1 ივნისს შეატყობინა.

26. 1976 წლის 27 აგვისტოს გამართულ მოსმენაზე ბ-ნმა ბუჰოლცმა განაცხადა, რომ მას არ მიუღია 30 სექტემბრით დათარიღებული ორი შეტყობინება იმავე დღეს, და მიმართა სასამართლოს თხოვნით, დაეკითხა მისი ცოლი ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მიზნებისათვის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 15). სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. ქ-ნმა ბუჰოლცმა, რომელიც იმყოფებოდა სასამართლო დარბაზში, დაადასტურა მეუღლის ჩვენება; იგი ამტკიცებდა, რომ შეტყობინებები მათ 1974 წლის 5 და 7 ოქტომბერს გადაეცათ.

მოპასუხეები არ დაეთანხმნენ ამ ჩვენებას და მოითხოვეს შესაგებელი მტკიცებულების სახით წარმოედგინათ 4 მოწმის ჩვენება. განმცხადებელმა გამოთქვა პრეტენზია საქმის ამგვარად შებრუნებაზე იმ საფუძველზე, რომ მეორე მხარის შუამდგომლობის განხორციელება შეაყოვნებდა სამართალწარმოებას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ბ-ნი ბუჰოლცი, ისევე, როგორც დეპენდორფის კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი და მოპასუხეების მიერ დასახელებული 4 მოწმე, უნდა წარმდგარიყვნენ სასამართლოს წინაშე და მიეცათ ჩვენებები 1977 წლის 11 იანვარს. იმავე დროს სასამართლომ შესთავაზა განმცხადებელს, რომელმაც ითხოვა უფასო სამართლებრივი დახმარება სააპელაციო სამართალწარმოებისას, შეეტანა შესაბამისი დოკუმენტი ამ მიზნით.

27. დოკუმენტი ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატის 28 აგვისტოთი დათარიღებული წერილის დანართის სახით იქნა წარმოდგენილი. ამის შედეგად 29 სექტემბერს სასამართლომ განმცხადებელს მიანიჭა სამართლებრივი დახმარება მთავარი სააპელაციო საჩივრის წინააღმდეგ წარმოსადგენი დაცვის მომზადებისათვის; სასამართლომ თავი შეიკავა

შესაგებელ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისაგან (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 31).

28. უფრო ადრე, 1976 წლის 21 სექტემბერს, განმცხადებელმა გაასაჩივრა 27 აგვისტოს გადაწყვეტილება ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოში. განმცხადებელი ასაჩივრებდა სასამართლო პროცესის ხანგრძლივობას, ეყრდნობოდა კონსტიტუციის მე-2, მე-3, მე-12 და მე-20 მუხლებს და კონვენციის მე-6 მუხლს და საკონსტიტუციო სასამართლოსაგან ითხოვდა, გაეცა ბრძანება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს დაავალებდა, დაუყოვნებლივ დაემთავრებინა საქმის განხილვა.

საქმის მასალები გადაეცა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც შეიკრიბა სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის სახით („ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს“ შესახებ კანონის (*Bundesverfassungsgerichtsgesetz*) 93-ე (ა) ნაწილი) და 2 ნოემბერს გამოიტანა განაჩენი. სასამართლომ არ გასცა ნებართვა კონსტიტუციური განაცხადის შემდგომ გაგრძელებასა და განხილვაზე; იმ შემთხვევაშიც კი, თუ განაცხადი ჩაითვლებოდა არსებით განხილვაზე დაშვებულად, მას არ ექნებოდა წარმატების პერსპექტივა, რამეთუ არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ გააჭიანურა სამართალწარმოება; თუ გავითვალისწინებთ საქმის განსაკუთრებულ სირთულეს, სამართალწარმოების ხანგრძლივობა უწინარესად გამოწვეული იყო განმცხადებლის მიზეზით: ეს უკანასკნელი მუდმივად ავრცობდა თავის არგუმენტაციას და მოითხოვდა დამატებით მტკიცებულებათა მოპოვებას.

29. 19 ნოემბერს გადადგა შრომითი საკითხების განმხილველი სააპელაციო სასამართლოს მე-3 პალატის (რომელიც იხილავდა განმცხადებლის საქმეს) თავმჯდომარე.

30. 1977 წლის 11 იანვარს სააპელაციო სასამართლომ მოისმინა 4 მოწმის ჩვენება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ დღეს ჩაბარდა განმცხადებელს გათავისუფლების თაობაზე შეტყობინება. სასამართლომ თავი შეიკავა, 28 იანვრამდე გამოეტანა გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით (მიუხედავად ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატის პრეტენზიებისა), უნდა მოესმინა თუ არა დეპენდორფის კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის, ბ-ნი ლენტფერის და მოპასუხეთა მიერ დასახელებული დამატებითი მოწმეების ჩვენებები.

31. 28 იანვარს სააპელაციო სასამართლომ განმცხადებელს მიანიჭა სამართლებრივი დახმარება შესაგებელი სააპელაციო საჩივრის წარსადგენად (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 27) და ბრძანა, რომ ბ-ნი ლენტფერი გამოძახებულიყო 22 მარტს ჩვენების მისაცემად.

31 იანვრის წერილში მოპასუხეთა ადვოკატმა აღნიშნა უფრო ადრინდელი ვალდებულება და ითხოვა ბ-ნი ლენტფერის მოსმენის გადადება; მან განმარტა, რომ იგი და ბ-ნი ლენტფერი 15 აპრილიდან 4 მაისამდე ადგილზე არ იქნებოდნენ. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა 2 თებერვალს და მოსმენა 6 მაისისთვის გადადო.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული საჩივრით განმცხადებელმა კომისიის მდივანს 5 თებერვალს მიმართა (კომისიისადმი მიმართული მისი განაცხადი შეტანილი იქნა 1976 წლის 18 დეკემბერს), მაგრამ, მთავრობის განცხადებით, საქმეში არ მოიპოვება

არავითარი მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ მან ანალოგიური პრეტენზიით მიმართა სააპელაციო სასამართლოს.

32. 6 მაისს ორივე მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გათავისუფლების თაობაზე სადავო შეტყობინებები ნამდვილად ჩაბარდა ბ-ნ ბუჰოლცს 1974 წლის 30 სექტემბერს.

13 მაისს სააპელაციო სასამართლომ გასცა ბრძანება, წარმოდგენილი ყოფილიყო ექსპერტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა გამართლებული განმცხადებლის მიერ დეპენდორფის კომპანიის მენეჯერთა მიმართ გამოთქმული ბრალდებები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 15). ჰამბურგის ვაჭრობის პალატამ, რომელსაც ეთხოვა აღნიშნულის განხორციელება, 14 ივნისს დანიშნა ექსპერტი; 30 ივნისს მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლომ დაამტკიცა ექსპერტი.

ექსპერტის მოხსენება წარმოდგენილი იქნა 1977 წლის 2 დეკემბერს; სასამართლომ გააცნო იგი განმცხადებელსა და მოპასუხეებს და მოსთხოვა მათ 1978 წლის 5 იანვრამდე კომენტარების წარმოდგენა.

33. საბოლოო მოსმენა გაიმართა 3 თებერვალს. მხარეებმა წარმოადგინეს საბოლოო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც შრომითი საკითხების განმხილველმა სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი. სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხეთა აპელაცია, უარყო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი აპელაცია და დააკისრა მას სამართალწარმოების ხარჯების ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ 1974 წლის 30 სექტემბრის საგანგებო შეტყობინება სამართლიანი იყო შემდეგ მიზეზთა გამო: განმცხადებლის მიერ გამოთქმული ბრალდებები წარმოადგენდა სერიოზულ მიზეზს გათავისუფლებისათვის სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე და გათავისუფლების თაობაზე შეტყობინება განმცხადებელს ორი კვირის ვადაში ჩაბარდა, როგორც ეს დადგენილია სსენებული მუხლის მე-2 პუნქტით. ექსპერტის მიერ წარმოდგენილმა საფუძვლიანმა და დამაჯერებელმა ახსნა-განმარტებამ ნათელი გახადა, რომ ბ-ნი ბუჰოლცის მიერ გამოთქმული ბრალდებები აბსოლუტურად უსაფუძვლო (*haltlos*) იყო: გარდა იმისა, რომ ეს ბრალდებები ძალზე ცილისმწამებლური იყო, ისინი სულაც არ იყო საჭირო და არ შეესატყვისებოდა გამომწვევ მიზეზს – ბ-ნი ბუჰოლცის მიერ 1974 წლის 28 ივნისის ჩვეულებრივი შეტყობინების გასაჩივრებას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 15).

განაჩენი მხარეებს 5 აპრილს გადაეცათ წერილობითი ფორმით.

(გ) შრომითი საკითხების განმხილველი ფედერალური სასამართლო (Bundesarbeitsgericht)

34. იმისათვის, რომ მის საქმე განხილულიყო საკასაციო წესით (*Revision*), ბ-ნმა ბუჰოლცმა 13 აპრილს შრომითი საკითხების განმხილველ ფედერალურ სასამართლოს მიმართა სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფის თხოვნით, რომელიც დაკმაყოფილებული იქნა 12 სექტემბერს.

20 სექტემბერს ბ-ნმა ბუჰოლცმა ფედერალურ სასამართლოს მიმართა თხოვნით, დაერთო მისთვის შუამდგომლობის წარმოდგენის ნება, მიუხედავად იმისა, რომ კანონით დაწესებული ვადა ამოწურული იყო. ეს თხოვნა 10 ოქტომბერს იქნა დაკმაყოფილებული

შუამდგომლობა, რომელიც წარმოდგენილი იქნა 22 სექტემბერს, გადაეცა მოპასუხეებს, რომლებმაც წერილობითი პასუხი 29 დეკემბერს წარადგინეს.

35. 1979 წლის 26 აპრილს ფედერალურმა სასამართლომ, მხარეთა მოსმენის შემდეგ, შესთავაზა მათ მეგობრული მორიგება, რომლის თანახმადაც შრომითი ხელშეკრულება ჩაითვლებოდა გაუქმებულად 1974 წლის 31 დეკემბრიდან და მოპასუხეებს დაეკისრებოდათ განმცხადებლის სასარგებლოდ დამატებით 24 000 გერმანული მარკის გადახდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე განმცხადებლისთვის უკვე გადახდილი იყო 5 700 გერმანული მარკა სახელფასო დავალიანების დაფარვის მიზნით.

მოპასუხეებმა უარყვეს შეთავაზება. იმავე დღეს გამოტანილი განაჩენით ფედერალურმა სასამართლომ უარყო შუამდგომლობა როგორც დაუსაბუთებელი.

2. სამართალწარმოება ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში (Bundesverfassungsgericht)

1979 წლის 10 მაისს ბ-ნმა ბუჰოლცმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, ამტკიცებდა რა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი უფლების დარღვევას. იგი ასაჩივრებდა სხვადასხვა ინსტანციის შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოებში სამართალწარმოების ხანგრძლივობას და აღნიშნავდა, რომ სწორედ ეს ფაქტორი გახდა სადავო გადაწყვეტილების მიზეზი. გარდა ამისა, იგი აკრიტიკებდა შრომითი საკითხების განმხილველ ფედერალურ სასამართლოს, ვინაიდან მან შეწყვიტა სამართალწარმოება, „რომელიც ჩვეულებრივ გარემოებებში ამ დროისათვის არ უნდა შემწყდარიყო“; ბ-ნი ბუჰოლცი ამტკიცებდა, რომ ვინაიდან მას კომისიისთვის ჰქონდა განაცხადი წარდგენილი, ფედერალურ სასამართლოს „არ სურდა, სამართალწარმოების გაგრძელებით კონვენციის დარღვევა უფრო ნათლად წარმოეჩინა“. განმცხადებელი ჩიოდა, აგრეთვე, რომ გასაჩივრებული განაჩენი მიუღებელი იყო მასში მოცემული არგუმენტაციის გათვალისწინებით (*sachlich unhaltbar*) და წარმოადგენდა დაუშვებელ შიდა სანქციას, რომელიც მიმართული იყო მის დასასჯელად, რადგან მან კომისიის წინაშე წარადგინა განაცხადი.

19 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა საკონსტიტუციო სარჩელის განხილვაზე განაცხადის არსებით განხილვაზე დაუშვებლობის მიზეზით. განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა საკმარისი დამაჯერებლობით ძირითად უფლებათა რაიმე სავარაუდო დარღვევა. სახელდობრ, სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული მისი პრეტენზია არ იყო საკმარისად არგუმენტირებული იმის დასადგენად, რომ სასამართლო პროცესის შედეგი არღვევდა მის რომელიმე ძირითად უფლებას; ეს ეხებოდა მის განცხადებასაც, რომ გასაჩივრებული განაჩენის არგუმენტაცია არ იყო დასაბუთებული.

ისევე, როგორც 1976 წელს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 28), განაჩენი სასამართლომ სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიის მეშვეობით გამოიტანა.

3. განმცხადებლის მდგომარეობა სამსახურიდან მისი გათავისუფლების შემდეგ

37. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ბ-ნი ბუჰოლცი, „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ კანონის (*Arbeitsförderungsgesetz*) თანახმად, იღებდა უმეშევრობის ყოველკვირეულ შემწეობას (*Arbeitslosengeld*), რომელიც 1974 წლის 9

ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე შეადგენდა 202,20 გერმანულ მარკას, 1975 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე – 228 გერმანულ მარკას, ხოლო 1975 წლის 7 ოქტომბრამდე – 250,80 გერმანულ მარკას. ჰამბურგის დასაქმების სამსახურმა (*Arbeitsamt*) 1975 წლის 23 დეკემბერს უარი განაცხადა განმცხადებლისთვის უმუშევრობის დახმარების (*Arbeitslosenhilfe*) მიცემაზე, რადგან მის ცოლს გააჩნდა შემოსავლის წყარო. 1978 წლის 1 აგვისტოდან განმცხადებელი იღებდა სოციალური უზრუნველყოფის პენსიას სამსახურიდან გათავისუფლებისთვის (*Sozialversicherungsrente*). ამ პენსიის ოდენობა – თავდაპირველად თვეში 1 462 გერმანული მარკა – პერიოდულად იცვლებოდა.

38. მთავრობის მტკიცებით, 1974 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული ჰამბურგის დასაქმების სამსახური უშედეგოდ ცდილობდა, განმცხადებლისთვის სხვა სამუშაო ეშოვნა. აღნიშნული სამსახური პოტენციურ დამსაქმებლებს ფინანსურ დახმარებასაც კი ჰპირდებოდა.

4. შრომითი საკითხების განმხილველი სააპელაციო სასამართლოების სამუშაო დატვირთვა 1974 წლიდან 1976 წლამდე

39. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის ვარდნის შედეგად შრომითი საკითხების განმხილველ სააპელაციო სასამართლოებს 1974-1976 წლებში მნიშვნელოვნად მოემატათ სამუშაო. სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად მთავრობის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის თანახმად, შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენთა გასაჩივრების მასშტაბი წინა წელთან შედარებით 1974 წელს გაიზარდა 23,1%-ით, 1975 წელს – 20,8%-ით, ხოლო 1976 წელს – 9,7%-ით. იმისათვის, რომ გამკლავებოდნენ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს, შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა გაზარდეს მოსამართლეთა საშტატო ერთეულები 1974 წელს 9,6%-ით, 1975 წელს 12,5%-ით, ხოლო 1976 წელს – 11,1%-ით. 1974 წელს განხილული იქნა 17,3%-ით მეტი, 1975 წელს – 27,5%-ით მეტი, ხოლო 1976 წელს – 13,4%-ით მეტი საქმე.

ჰამბურგის სააპელაციო სასამართლოში 1974 წელს შევიდა 689 საჩივარი, 1975 წელს – 758, 1976 წელს – 786, ხოლო 1977 წელს – 756; 1974 წელს 716 საჩივარზე იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი, 1975 წელს – 700 საჩივარზე, 1976 წელს – 798 საჩივარზე, ხოლო 1977 წელს – 788 საჩივარზე. სამართალწარმოების ხანგრძლივობის საშუალო ვადა 2,88 თვიდან 1974 წელს 1975 წელს 3,20 თვემდე გაიზარდა, მაგრამ შემცირდა 2,98 თვემდე 1976 წელს, 2,79 თვემდე 1977 წელს და 2,53 თვემდე 1978 წელს. ჰამბურგის სააპელაციო სასამართლო ამ თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო, ვიდრე ქვეყნის სხვა რაიონებში (*‘Länder’*) მდებარე სააპელაციო სასამართლოები, სადაც, მიუხედავად ყველაფრისა, საჩივართა კლების ტენდენცია მაინც იქნა დადგენილი. 255 განხილულმა საქმემ, რომლებზეც 1975-1976 წლებში მე-3 პალატის (რომელიც განიხილავდა ბუჰოლცის საჩივარს) მიერ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, აჩვენა, მთავრობის მტკიცებით, რომ საბოლოო გადაწყვეტილება 163 საქმეზე იქნა გამოტანილი ერთი მოსმენის შედეგად, 59 საქმეზე – 2 მოსმენის შედეგად, 23 საქმეზე – 3 მოსმენის შედეგად და 10 საქმეზე – 4-6 მოსმენის შედეგად.

40. მთავრობამ, რომელსაც 1970-იან წლებში დაუდგა შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოებში სამუშაოს მოცულობის პრობლემა, 1978 წელს საკანონმდებლო სხდომაზე შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის დანიშნულება, სხვა საკითხებთან ერთად, იყო შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოებათა დაჩქარება. ამ საკანონმდებლო ინიციატივის შედეგად მიღებული კანონი 1979 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში.

სამართალწარმოება კომისიაში

41. 1976 წლის 18 დეკემბერს წარმოდგენილ განაცხადში (№7759/77) ბ-ნი ბუჰოლცი პრეტენზიებს გამოთქვამდა გერმანულ სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე და ამტკიცებდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-8 მუხლის დარღვევას. არსებითი განხილვის პერიოდში იგი მე-3 და მე-12 მუხლებსაც დაეყრდნო.

42. 1977 წლის 7 დეკემბერს კომისიამ განაცხადი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა.

1980 წლის 14 მაისის მოხსენებაში კომისიამ გამოხატა თავისი მოსაზრება, რომლის თანახმადაც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები არ ყოფილა დაცული (შვიდი ხმა ხუთის წინააღმდეგ), მაგრამ განაცხადი არავითარ შეხებაში არ იყო მე-3, მე-8 და მე-12 მუხლებთან.

სასამართლოსთვის წარმოდგენილი საბოლოო არგუმენტაცია

43. 1981 წლის 27 იანვარს გამართულ მოსმენაზე მთავრობამ წარმოადგინა ქვემოთ მოტანილი საბოლოო განცხადება, რომელიც 1980 წლის 5 დეკემბრის მემორანდუმშიც იყო მითითებული:

„[ჩვენ] ვითხოვთ, რომ წინამდებარე საქმეში არ იქნეს დადგენილი კონვენციის დარღვევა.“

სამართალი

44. განმცხადებლის საჩივარი ეხებოდა იმ სამართალწარმოების ხანგრძლივობას, რომელიც მან აღძრა გერმანიის სასამართლოებში. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს, მე-8, მე-3 და მე-12 მუხლებს.

1. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

45. კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას. ამ მუხლის თანახმად:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. ...“

მთავრობა არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას.

46. საქმეში ყურადღება არ გამახვილებულა ერთ საკითხზე, რასაც სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს: „უფლება“, რომლის დარღვევაზეც ჩიოდა ბ-ნი ბუჰოლცი, წარმოადგენდა „სამოქალაქო უფლებას“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. შესაბამისად, ერთადერთი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს, არის ის, მოხდა თუ არა „გონივრული ვადის“ გადაცილება.

47. სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს გასათვალისწინებელი პერიოდი.

ბ-ნი ბუჰოლცის განაცხადი მიმართული იყო გერმანიის შრომითი საკითხების განმხილველ სამ სხვადასხვა დონის სასამართლოში 1974 წლის 10 ივლისიდან მოყოლებული სამართალწარმოების (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 13), შემდეგ კი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოებული სამართალწარმოების წინააღმდეგ.

კომისიამ მიიჩნია, რომ უკანასკნელი სამართალწარმოება არ იყო შესაბამისი განხილვის საგანი. მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებაში კომისია დაეყრდნო თავის პრეცედენტულ სამართალს, რომლის თანახმადაც ეს მუხლი არ ეხებოდა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, როდესაც მან, შეიკრიბა რა სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის სახით, კონსტიტუციური განაცხადი არსებით განხილვაზე დაუშვებლად გამოაცხადა; კომისიამ მიუთითა უფრო თანამედროვე გადაწყვეტილებაზეც, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილულ უფლებათა ხასიათის გამო მე-6 მუხლი არ ეხებოდა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს (იხ. მოხსენების პუნქტი 93).

48. იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ საკითხებთან დაკავშირებით, საკმარისი იქნება იმის აღნიშვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ იყო მოწოდებული, განეხილა ბ-ნ ბუჰოლცსა და მის დამქირავებლებს შორის დავა („დავის საგანი“), რომელიც მიმდინარეობდა შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოში; საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეხებოდა იმ უფლებას, რომლის დარღვევასაც განმცხადებელი უჩიოდა მოპასუხეებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 36, შეად. მე-13 და მე-15 პუნქტებს). ასე რომ, სამართალწარმოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა შრომითი საკითხების განმხილველ ფედერალურ სასამართლოში, არ ხვდება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროში. არ არსებობს იმის აუცილებლობა, გადაწყდეს, სხვაგვარად იქნებოდა თუ არა განსხვავებულ გარემოებებში.

ამიტომ პერიოდი, რომელიც უნდა იქნეს განხილული მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თვალსაზრისით, მომდინარეობს 1974 წლის 10 ივლისიდან (სამართალწარმოების აღდგრა შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოში) 1979 წლის 26 აპრილამდე (შრომითი საკითხების განმხილველი ფედერალური სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანა; იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 35); ამ პერიოდის მთლიანი ხანგრძლივობაა 4 წელიწადი, 9 თვე და 16 დღე.

49. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა, რომელიც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოქმედების სფეროში შედის, შეფასებული უნდა იქნეს ყოველ საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების საფუძველზე. სისხლისსამართლებრივ საქმეებში ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ითვალისწინებდა, *inter alia*, საქმის სირთულეს და განმცხადებლისა და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ქმედებებს (იხ. *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1968 წლის 27 ივნისი, სერია A №8, გვ. 42-43, პუნქტები 20-21 და *Ringeisen*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 16 ივლისი, სერია A №13 გვ. 45, პუნქტი 110). საქმეებში, რომლებიც ეხებოდა სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სასამართლოებში აღძრულ სამართალწარმოებას, სასამართლო ითვალისწინებდა იმავე კრიტერიუმებს, ისევე, როგორც მოპასუხეთა ქმედებებს და იმას, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა

სამართალწარმოებას მომჩივანისათვის (იხ. *König*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1978 წლის 28 ივნისი, სერია A №27, გვ. 34-40, პუნქტები 99, 102-105 და 107-111). სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი ანალოგიურად უნდა მიუდგეს წინამდებარე საქმესაც. სასამართლოს განცხადებით, „გონივრული ვადის“ მოთხოვნის დარღვევა, შესაბამის შემთხვევებში, შეიძლება გაამართლოს მხოლოდ საქმის დაყოვნებამ, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფო მიზეზით.

50. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ისევე, როგორც ევროპის საბჭოს წევრ ბევრ სხვა სახელმწიფოში, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სასამართლო პასუხისმგებელია საქმის გამოძიებაზე და მასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის წარმართვაზე (იხ. ზემოხსენებული *Neumeister*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 42-43, პუნქტი 21 და ზემოხსენებული *König*-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 34-39, პუნქტები 102-105, 107 და 109). ამის საწინააღმდეგოდ, როგორც ეს მთავრობამ წარმოადგინა, სამართალწარმოება შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოებშიც და ყველა სამოქალაქო სასამართლოშიც რეგულირდება მხარეებს შორის დავის წარმართვის პრინციპით (*Parteimaxime*). დამატებით უნდა ითქვას, რომ გერმანიის კანონმდებლობა ყველანაირად ხელს უწყობს დასაქმებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მეგობრულ მორიგებას („შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლოების შესახებ“ კანონის (*Arbeitsgerichtsgesetz*) 54-ე, 57-ე, 64-ე და 72-ე ნაწილები; მთავრობამ სწორად გააკეთა მინიშნება ამ ფაქტორზე.

სასამართლო არ ამცირებს ამ სხვადასხვაობათა მნიშვნელობას და, ისევე, როგორც კომისია, თვლის, რომ ისინი არ ათავისუფლებენ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს ვალდებულებისაგან, უზრუნველყონ საქმის სასამართლო განხილვის სწრაფად წარმართვა, როგორც ამას მე-6 მუხლი მოითხოვს. უფრო მეტიც, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ „შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-9 ნაწილის თანახმად, გერმანიის შრომითი საკითხების განმხილველი ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო სწრაფად უნდა ახორციელებდეს სამართალწარმოებას.

51. მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ უდავო ფაქტზე, რომ ეკონომიკის ვარდნის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა დასაქმების სფეროში დავების რაოდენობა, რაც დიდ ტვირთად დააწვა სასამართლოებს, მათ შორის, კამბურგის სასამართლოებსაც.

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენცია ხელშემკერველ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, თავიანთი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანონ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებთან, მათ შორის, „გონივრული ვადის“ მოთხოვნასთან. მიუხედავად ამისა, დროებით დაგროვილი საქმეები არ წარმოშობს წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუკი ისინი დაუყოვნებლივ გადადგამენ გონივრულ და შესაბამის ნაბიჯებს ასეთი გამონაკლისი სიტუაციების გამოსასწორებლად.

52. ოთხ წელიწადსა და ცხრა თვეზე მეტი გავიდა, სანამ ბოლო ინსტანციის შრომითი საკითხების განმხილველი ფედერალური სასამართლო გამოიტანდა განაჩენს. ეს ხანგრძლივი პერიოდია ასეთი სახის საქმეებისათვის. ამას გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ბ-ნი ბუჰოლცისათვის იყო სამუშაოზე აღდგენა ან, შრომითი ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, კომპენსაციის გადახდა. შესაბამისად, სასამართლომ ზემოხსენებული კრიტერიუმებისა და ფაქტორების საფუძველზე უნდა განიხილოს სამართალწარმოების მიმდინარეობა თითოეულ სასამართლოში, რომლებმაც საქმე განიხილეს.

(ა) შრომითი საკითხების განმხილველი ჰამბურგის სასამართლო

53. სამართალწარმოება შრომითი საკითხების განმხილველ ჰამბურგის სასამართლოში აღიძრა 1974 წლის 10 ივლისს და შეწყდა 1975 წლის 8 იანვარს. გამოტანილი იქნა განაჩენი, რომელიც მხარეებს წერილობით 25 თებერვალს ეცნობათ. მთავრობის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის თანახმად, ხსენებული დრო აღემატება 1974 წელს დაფიქსირებულ საშუალო დროს როგორც ჰამბურგის სასამართლოსათვის (3,5 თვე), ასევე სხვა რეგიონებში (Länder) არსებული შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლოებისათვის (2,6 თვე).

კომისიის წინაშე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ადგილი ჰქონდა რამდენიმე არასაჭირო მოსმენას. თუმცა მან ვერ შეძლო სასამართლოსთვის დეტალების წარდგენა. შესაბამისად, სასამართლომ, გაითვალისწინა რა, რომ ამ ეტაპზე საქმე ძალიან რთული იყო (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 55), არ მიიჩნია, რომ სასამართლო დავის ეს ნაწილი, რომელიც რვა თვეზე ნაკლებ ხანს გრძელდებოდა, არღვევდა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს.

(ბ) შრომითი საკითხების განმხილველი ჰამბურგის სააპელაციო სასამართლო

54. სამართალწარმოება შრომითი საკითხების განმხილველ ჰამბურგის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც 1975 წლის 13 მარტს დაიწყო მოპასუხეთა მიერ შეტანილი საჩივრის შედეგად, დამთავრდა 1978 წლის 3 თებერვალს განაჩენით, რომელიც მხარეებს წერილობითი ფორმით 5 აპრილს გადაეცათ. ეს სამართალწარმოება განაჩენის გამოტანამდე გრძელდებოდა ორი წელიწადი, ათი თვე და ოცდაერთი დღე, რაც ბევრად აღემატება 1975-1978 წლებში დაფიქსირებულ საშუალო მაჩვენებელს როგორც ჰამბურგის სასამართლოსათვის, ისე სხვა რეგიონებში (Länder) არსებული ანალოგიური სასამართლოებისათვის (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 39).

შესაბამისად, განმცხადებელმაც თავისი საჩივრის კონცენტრირება ამ პერიოდზე მოახდინა და კომისიამაც, ანალოგიურად, მნიშვნელოვნად მიიჩნია იგი.

55. რაც შეეხება ამ საქმის სირთულეს, მთავრობამ მართებულად გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ საკითხები გართულდა მას შემდეგ, რაც ბ-ნი ბუჰოლცის ადვოკატმა 1974 წლის 19 სექტემბრის მიმოხილვებთან ერთად შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოს წარუდგინა მისი მარწმუნებლის მიერ მოპასუხე კომპანიის მენეჯერთა წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 15) და მისმა მარწმუნებელმა 1976 წლის 27 აგვისტოს უარყო გათავისუფლების შესახებ ორი შეტყობინების მიღება 1974 წლის 30 სექტემბერს, რასთან დაკავშირებითაც შემდგომში აღიარა, რომ ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 26 და 32). პირველმა ფაქტორმა გამოიწვია გათავისუფლების შესახებ ორი შეტყობინების განხილვა, ხოლო მეორემ – მოწმეთა მოსმენა, რომელიც, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, სრულებით არ იყო საჭირო.

სასამართლო ადგენს, რომ ეროვნულ სასამართლოთა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს, ამოცანა გართულდა ხსენებული ორი ფაქტორის გამო, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად საქმის სირთულეს არ შეუძლია გაამართლოს სააპელაციო სამართალწარმოების ხანგრძლივობა.

56. რაც შეეხება განმცხადებლის ქმედებას, უნდა აღინიშნოს, რომ 1975 და 1976 წლებში მისმა ადვოკატმა ორჯერ მიმართა თხოვნით სააპელაციო სასამართლოს, არ გაემართა

საქმის მოსმენა გარკვეულ პერიოდებში, რომლებიც ერთად აღებული უდრის ერთ თვეს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 20 და 25). უფრო მეტიც, ამტკიცებდა რა 1976 წლის 27 აგვისტოს, რომ გათავისუფლების შესახებ ორი შეტყობინება მას არ მიუღია 1974 წლის 30 სექტემბერს, ბ-ნმა ბუჰოლცმა გამოიწვია განხილვის გაჭიანურება რვა თვეზე მეტი ხნით. ამ პერიოდის განმავლობაში სადავო დღესთან დაკავშირებით სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა ორივე მხრიდან მოწვეულ მოწმეებს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 26, 30, 31 და 32). მოხსენების 108-ე პუნქტში გაჭიანურების დამატებით მიზეზად კომისიამ მიიჩნია საკონსტიტუციო სასამართლოში 1976 წლის 21 სექტემბერს შეტანილი განაცხადიც. თუმცა, როგორც ეს აღნიშნა განმცხადებელმა (და რასაც არ დაეთანხმა მთავრობა), სააპელაციო სასამართლომ მოსმენის დღედ დანიშნა 1977 წლის 11 იანვარი – ეს თარიღი ერთი თვით წინ უსწრებდა საკონსტიტუციო სასამართლოში განაცხადის შეტანას, რასაც არ შეეძლო რაიმე ზეგავლენა მოეხდინა ამ გადაწყვეტილებაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 26 და 28).

თუმცა ნათელია, რომ განმცხადებელმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამართალწარმოების გაჭიანურებას, განსაკუთრებით იმ მეთოდით, რომელიც მან აირჩია თავისი პოზიციის დასაცავად. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ეთანხმება მთავრობასა და კომისიას.

57. მოპასუხეებმაც, თავის მხრივ, 1975-1977 წლებში სამჯერ სთხოვეს სააპელაციო სასამართლოს, არ გაემართა მოსმენა საქმეზე გარკვეულ თარიღებში, ამასთან, დასახელებული დღეების საერთო რაოდენობა უდრიდა 45 დღეს; ასე რომ, მოპასუხეები პასუხისმგებელნი იყვნენ სასამართლო დავის 6 კვირით გაჭიანურებაზე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 20 და 31). დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხეებმა დაახლოებით ერთი თვის შემდეგ წარმოადგინეს პასუხი იმ მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებით, რომელიც განმცხადებლის მიერ 1975 წლის 20 აგვისტოს იქნა შეთავაზებული (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 22). და ბოლოს, მოპასუხეებმა გააჭიანურეს სამართალწარმოება განმცხადებლისათვის 1974 წლის 30 სექტემბერს გათავისუფლების თაობაზე შეტყობინების გადაცემასთან დაკავშირებით მოწმეების დაკითხვის მოთხოვნით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 26 და 30).

თუმცა, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ გაჭიანურების პირველი ორი პერიოდი მნიშვნელოვანი არ არის. მესამე პერიოდი კი გამოიწვია განმცხადებლის მიერ წარმოდგენილმა ახალმა არგუმენტმა, რომლის გამოც დეპენდორფის კომპანიამ, იმისათვის, რომ დაეცვა საკუთარი პოზიცია, მოითხოვა მოწმეთა გამოძახება და დაკითხვა.

58. კომისიის აზრით, აგრეთვე, ბ-ნი ბუჰოლცის მტკიცებით, სამართალწარმოების გაჭიანურების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის გაწელვა.

განმცხადებელი განსაკუთრებულ პრეტენზიებს გამოთქვამდა რამდენიმე უაზრო მოსმენის, მოსმენებს შორის ძალიან დიდი ინტერვალების, სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობისა და ექპერტის დანიშვნის გადადების გამო.

კომისიამ მიიჩნია, რომ 1975 წლის 9 ოქტომბრისა და 1976 წლის 27 აგვისტოს ბრძანებები, რომელთა თანახმად შემდგომი მოსმენები უნდა გამართულიყო 1976 წლის 19 მარტსა და 1977 წლის 11 იანვარს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 22 და 26), არ შეესაბამებოდა სამართალწარმოების სწრაფად ჩატარების მოთხოვნას. გარდა ამისა, კომისიამ განმარტა, რომ რამდენიმე თვის დაკარგვის მიზეზი გახდა 1976 წლის 3 მაისს

მიღებული გადაწყვეტილებაც, რომლის თანახმად მოსმენა არ დაინიშნა 27 აგვისტომდე (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 25). კომისიის აზრით, იმისათვის, რომ სამართალწარმოება დაჩქარებულიყო, სააპელაციო სასამართლოს უარი უნდა ეთქვა დეპენდორფის კომპანიის 1977 წლის 31 იანვრის მოთხოვნაზე, რომ სასამართლოს დაეკითხა მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი მოწმეები (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 30 და 31).

59. თუ გავითვალისწინებთ გერმანული სამართლის ზოგად წესს, რომლის თანახმად, შესაძლებლობის ფარგლებში, ასეთი სახის სამართალწარმოება ერთი მოსმენით უნდა გადაწყდეს („შრომითი საკითხების განმხილველი სასამართლოების შესახებ“ კანონის 57-ე და 64-ე ნაწილები), ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლომ 6 მოსმენა გამართა, ერთი შეხედვით, გასაოცრად გამოიყურება. ამ თვალსაზრისით მთავრობის მიერ მოწოდებული სტატისტიკაც ნათლად ადასტურებს, რომ სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი პალატის მიერ 1975-1976 წლებში განხილული საქმეების ძალიან მცირე რაოდენობაზე გაიმართა სამ მოსმენაზე მეტი (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 39).

მიუხედავად ამისა, რაც მოხდა ამ შემთხვევაში, უმეტესად გამოიწვია განმცხადებლის მიერ საკუთარი პოზიციის დაცვის ხასიათმა. როდესაც – მესამე მოსმენაზე, ანუ პროცესის ერთ-ერთ საწყის ეტაპზე – ბ-ნმა ბუჰოლცმა უარყო, რომ 1974 წლის 30 სექტემბერს მიიღო 2 შეტყობინება გათავისუფლების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ, ბუნებრივია, ვაღდებულად ჩათვალა თავი, მოესმინა მეორე მხარის მიერ დასახელებული მოწმეებისათვის, რის განუხორციელებლობის შემთხვევაშიც შეილახებოდა მეორე მხარის უფლება დაცვაზე. არავის შეუძლია გააკრიტიკოს (და არც კომისიას გაუკრიტიკებია) სააპელაციო სასამართლო იმისათვის, რომ მან უგულებელყო და არ განიხილა მხარეებთან ერთად უკვე წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ ზუსტად გაამჟღავნებდა მიღების ზუსტ დღეს; სასამართლომ მოისმინა განმცხადებლის მტკიცება, რომელიც იმავე დღეს დაადასტურა მისმა ცოლმა, და საჭიროდ მიიჩნია, მოპასუხეთა მხრიდანაც გამოეძახა მოწმეები.

ასევე არ შეიძლება სააპელაციო სასამართლოს გაკრიტიკება იმისათვის, რომ მან სამართალწარმოების დასაწყისშივე არ ბრძანა ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა. გასაგებია, რომ სააპელაციო სასამართლოს საუკეთესო გამოსავლად უნდა მიეჩნია მხარეთა შორის მეგობრული მორიგების მცდელობა, მიუხედავად განმცხადებლის მხრიდან დეპენდორფის კომპანიის მენეჯერების მიმართ სერიოზული ბრალდებების გამოთქმისა. ამგვარ ვითარებაში ბრალდებათა საფუძვლიანობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭა. საკითხში ღრმად გარკვევის საჭიროება მხოლოდ მაშინ წარმოიშვა, როდესაც დადგინდა საქმის მეგობრული მორიგების შეუძლებლობა. ის ფაქტი, რომ მესამე მოსმენაზე განმცხადებელმა უარყო გათავისუფლების შესახებ ორი შეტყობინების 1974 წლის 30 სექტემბერს მიღება, ხსნის, თუ რატომ უნდა გადაედო სააპელაციო სასამართლოს მოსმენა ექსპერტის დასკვნის მოპოვებამდე: აუცილებელი იყო მოწმეთა ჩვენებების მოსმენამდე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის გადადება.

60. სასამართლო უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამართალწარმოების გადადების გარკვეულ შემთხვევებს (რომლებიც კომისიამაც აღნიშნა), რომლებიც ეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებს.

უპირველეს ყოვლისა, არსებობს 1975 წლის 9 ოქტომბრის ბრძანება, რომლის საფუძველზეც მე-2 მოსმენა 1976 წლის 19 მარტს დაინიშნა. ფაქტობრივად, ამ ხუთი თვის განმავლობაში სააპელაციო სასამართლო საქმეს სწავლობდა იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა მეგობრული მორიგება, ასე რომ სასამართლოს მიერ 19 მარტს

წარმოდგენილი წინადადება შედეგად მოჰყვა საქმის განხილვას, რომელსაც ბ-ნი ბუჰოლცი, აღნიშნავდა რა სასამართლოს დამსახურებას, აღწერდა როგორც „საფუძვლიანს“ და „ამომწურავს“. მთავრობის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლო 9 ოქტომბერს გამართული მოსმენის შემდეგ ელოდა მოპასუხეთა მხრიდან 3 ოქტომბრის წერილობითი მემორანდუმის საპასუხო მიმოხილვას, რომელიც არ იქნა მიღებული. სასამართლო ითვალისწინებს მეგობრული მორიგების მიღწევასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, განსაკუთრებით კი იმ ბრალდებებს, რომლებიც განმცხადებელმა წაუყენა თავისი ყოფილი სამსახურის ხელმძღვანელობას, თუმცა მაინც მიაჩნია, რომ არსებობს პრობლემა პროცედურის ამ ეტაპის – რომელიც კიდევ გაგრძელდა 5 კვირით მხარეების მიერ პასუხების წარმოდგენის მიზნით – ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

იგივე შეიძლება ითქვას 1976 წლის 3 მაისის ბრძანებასთან დაკავშირებითაც. ამ ბრძანების თანახმად შემდგომი მოსმენა უნდა გამართულიყო 27 აგვისტოს, მიუხედავად განმცხადებლის ადვოკატის თხოვნისა. ეს უკანასკნელი მოითხოვდა მოსმენის მაისში გამართვას და ატყობინებდა სააპელაციო სასამართლოს, რომ არ ექნებოდა საშუალება, დასწრებოდა მოსმენას 30 მაისიდან 18 ივნისამდე. მთავრობის მტკიცებით, ბ-ნ ბუჰოლცს არ განუცხადებია არავითარი პრეტენზია ამ ბრძანებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხსენებული ათავისუფლებდა სააპელაციო სასამართლოს დაკისრებული ვალდებულებებისაგან.

1976 წლის 27 აგვისტოს ბრძანება, რომლის საფუძველზეც მოსმენა გადაიდო 1977 წლის 11 იანვრამდე, წარმოშობს ანალოგიურ ეჭვებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ მომავალი გადადგომის გამო მესამე პალატის თავმჯდომარემ მოსმენისათვის დანიშნა ახალი თარიღი, რათა საშუალება მიეცა შემცვლელისათვის, გასცნობოდა საქმის მასალებს.

კომისიამ ასევე სამართლიანად გააკრიტიკა 1977 წლის 2 თებერვლის ბრძანება, რომლის თანახმაცაც მოპასუხეთა მოთხოვნის საფუძველზე 6 მაისამდე გადაიდო მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა, რაც უნდა მომხდარიყო 11 იანვარს. ბ-ნ ბუჰოლცს არ წარმოუდგენია არავითარი ოფიციალური პრეტენზია, მაგრამ, წინა შემთხვევის ანალოგიურად, ეს არ ათავისუფლებდა სააპელაციო სასამართლოს მისი ვალდებულებებისაგან.

და ბოლოს, ძნელი გასაგებია, თუ რატომ არ გადაეცათ მხარეებს განაჩენი წერილობითი ფორმით მისი გამოტანიდან ორ თვეზე ადრე.

61. ეყრდნობოდა რა სტატისტიკურ მონაცემებს, თავის მთავარ არგუმენტად მთავრობამ წარმოადგინა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შრომითი საკითხების განმხილველი სააპელაციო სასამართლოების, განსაკუთრებით კი ჰამბურგის სააპელაციო სასამართლოს, ძალზე დიდი სამუშაო დატვირთვა. მთავრობის მტკიცებით, ბუჰოლცის საქმის სწრაფი განხილვის დაბრკოლება განსახილველ საქმეთა ძალიან დიდმა რაოდენობამ გამოიწვია. კომისიამ აღიარა, რომ აღნიშნული სიტუაცია მართლაც შეესაბამებოდა სინამდვილეს, მაგრამ გამოთქვა აზრი, რომ მთავრობის მიერ მიღებული გამოსასწორებელი ზომები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ განმცხადებლისათვის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფილიყო სასამართლოს მიერ მისი საქმის გონივრულ ვადაში განხილვა.

თუმცა სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა ადგილების რაოდენობა გაიზარდა 1974 წლიდან – იმ დროიდან, როდესაც გახშირდა სასამართლო დავები ეკონომიკური ვარდნის შედეგად. შრომითი საკითხების განმხილველმა ჰამბურგის სააპელაციო

სასამართლომ უფრო მეტი სააპელაციო საჩივარი განიხილა 1976 და 1977 წლებში, ვიდრე 1974 და 1975 წლებში, ამასთან, შეინიშნებოდა სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობის შემცირებაც (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 39). დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ჰამბურგის სასამართლომ, რომელსაც ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა განსახილველი, მათ შორის, ბუჰოლცის საქმეც, რომელიც მე-3 პალატის მიერ იხილებოდა, ამ პალატის მიერ განსახილველ საქმეთა ნახევარი გადასცა 1976 წელს შექმნილ მე-6 პალატას (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 23). და ბოლოს, იმისათვის, რომ დაჩქარებულიყო შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოებში მიმდინარე საქმეების წარმოება, მთავრობამ წამოაყენა საკანონმდებლო რეფორმის წინადადება, რომელიც საპარლამენტო ასამბლეამ 1979 წელს მიიღო (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 40).

ბუნებრივია, გარკვეული დრო იყო საჭირო, სანამ ეს ღონისძიებები რაიმე შედეგს გამოიღებდა. მიუხედავად ამისა, ისინი ნათლად წარმოაჩენს, რომ მთავრობა სრულად აღიქვამდა ამ საკითხთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, იმისათვის, რომ დაადგინოს, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, სასამართლომ უნდა განსაზღვროს იმ სამუშაოს ოდენობა, რომელიც შესასრულებელი ჰქონდა შრომითი საკითხების განმხილველ ჰამბურგის სააპელაციო სასამართლოს დროის იმ მონაკვეთში, რომელიც სასამართლომ აღიარა, როგორც გამონაკლისი თავისი ხასიათით (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 51).

(გ) შრომითი საკითხების განმხილველი ფედერალური სასამართლო

62. შრომითი საკითხების განმხილველმა ფედერალურმა სასამართლომ 1978 წლის 12 სექტემბერს ბ-ნ ბუჰოლცს მიანიჭა 13 აპრილს მოთხოვნილი სამართლებრივი დახმარება; საკასაციო საჩივართან დაკავშირებული მისი პეტიცია სასამართლოსთვის 22 სექტემბერს იქნა წარდგენილი და სასამართლომ იგი 1979 წლის 26 აპრილს უარყო. ასე რომ, სამართალწარმოების მთლიანი ხანგრძლივობა იყო ერთი წელიწადი და ცამეტი დღე.

განმცხადებელს არ წარმოუდგენია ფედერალურ სასამართლოსთან დაკავშირებული თავისი პრეტენზიების დეტალები. როდესაც იგი ასაჩივრებდა გამოტანილ გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენილ განაცხადში, განმცხადებელი არ ჩიოდა, რომ აღვილი ჰქონდა გარკვეულ გაჭიანურებას, პირიქით, მისი მტკიცებით, სამართალწარმოება ვადაზე ადრე შეწყდა (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტი 36).

კომისიის აზრით, სამართალწარმოება არ იყო გაუმართლებლად გაჭიანურებული არც ბ-ნი ბუჰოლცის ან მოპასუხეების და არც შრომითი საკითხების განმხილველი ფედერალური სასამართლოს მიერ. სასამართლოს არ გააჩნია რაიმე მიზეზი განსხვავებული გადაწყვეტილების გამოსატანად.

63. სამართალწარმოების სამივე ეტაპის განხილვის შემდეგ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, არღვევდა თუ არა სამართალწარმოების მთლიანი ხანგრძლივობა მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოება მე-2 ეტაპზე ძალიან ნელა განხორციელდა და შრომითი საკითხების განმხილველმა სასამართლომ რამდენიმეჯერ გააჭიანურა მოსმენები დიდი პერიოდის განმავლობაში, სასამართლო დავის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ბ-ნი ბუჰოლცის მიერ წამოჭრილ რამდენიმე

საკითხზე, რის გამოც მან თავად უნდა იტვირთოს შედეგებზე პასუხისმგებლობა. ამასთან, სასამართლოს არ შეუძლია, არ გაამახვილოს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ გაჭიანურება სააპელაციო სასამართლოში მოხდა გარდამავალ პერიოდში, როდესაც აღინიშნებოდა სასამართლო დავების რაოდენობის ზრდა, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკის საერთო ვარდნით. შეაფასა რა მის წინაშე წარმოდგენილი მასალები და გაითვალისწინა რა ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული მცდელობა, დაექარებინათ შრომითი საკითხების განმხილველ სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოებათა გადაწყვეტა, სასამართლო მიიჩნევს, რომ, ერთად აღებულიც კი, სამართალწარმოების გაჭიანურება არ არღვევს გონივრულ ვადას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

2. კონვენციის მე-8, მე-3 და მე-12 მუხლების საგარაუდო დარღვევა

64. განმცხადებლის მტკიცებით, მის წინააღმდეგ აღგილი ჰქონდა მე-8, მე-3 და მე-12 მუხლების საგარაუდო დარღვევასაც, ვინაიდან სამართალწარმოების გაჭიანურებამ მას სერიოზული ფინანსური და პიროვნული სიძნელეები შეუქმნა.

მთავრობა ამტკიცებდა, რომ ამ სიძნელეების ნამდვილი მიზეზი ბ-ნი ბუჰოლცის სამსახურიდან გათავისუფლება იყო.

კომისიის აზრით, ზემოხსენებული მუხლები არ მიესადაგებოდა წინამდებარე საქმის ფაქტებს.

65. სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ სამართალწარმოების გონივრულ ვადაში განუხორციელებლობამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს და გამოიწვიოს კონვენციის სხვა მუხლების დარღვევაც (იხ. *mutatis mutandis*, *Belgian Linguistic*-ის საქმეზე 1968 წლის 23 ივლისის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული განაჩენი, სერია A №6, გვ. 33, პუნქტი 7), მაგრამ იმეორებს, რომ წინამდებარე საქმეში აღგილი არ ჰქონია მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევას. ამას გარდა, სასამართლოს მიაჩნია, რომ მე-8, მე-3 ან მე-12 მუხლები არ მიესადაგება წინამდებარე საქმის ფაქტებს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

ადგენს, რომ აღგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ან მე-3, მე-8 და მე-12 მუხლების დარღვევას.

შესრულებულია სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში, 1981 წლის 6 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ფრანგული ტექსტი ავთენტურია.

პრეზიდენტის სახელით:
ხელმოწერილია: ვალტერ განშოფ ვან დერ მეერში,
მოსამართლე

ხელმოწერილია: მარკ ანდრე ეისენი,
რეგისტრატორი